



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2020

III კვარტალი



04.12.2020

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


04.12.2020

სანარმოთა საქმიანობის შედეგები (2020 წლის III კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2020 წლის III კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.6 პროცენტით გაიზარდა და 29.2 მილიარდი ლარი შეადგინა.

კლების ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი. 2020 წლის III კვარტალში მისი მოცულობა 11.6 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 8.8 პროცენტით ნაკლებია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება კვარტლების მიხედვით




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.12.2020

2020 წლის III კვარტალში მთლიანი ბრუნვის 57.1 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 17.7 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 25.2 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 40.3 პროცენტი, საშუალოზე - 27.6 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 32.1 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზოგების მიხედვით, 2020 წლის III კვარტალი




საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2020 წლის III კვარტალში 16.4 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.4 პროცენტით ნაკლები), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 9.9 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.7 პროცენტით ნაკლები).

2020 წლის III კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 645.6 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 7.2 პროცენტით ნაკლებია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 40.8 პროცენტი ქალია, ხოლო 59.2 პროცენტი - კაცი.

04.12.2020

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 40.5 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22.7 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 36.8 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 610.4 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 6.4 პროცენტით ნაკლები). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 437.8 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.4 პროცენტით ნაკლები).

2020 წლის III კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 305.9 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 10.3 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 998.3 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 18.5 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:


- მსხვილი ბიზნესი - 1 297.2 ლარი
- საშუალო ბიზნესი - 1 487.6 ლარი
- მცირე ბიზნესი - 1 186.0 ლარი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.12.2020

2020 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 38.3 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორეადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 28.4 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.7 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 7.9 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 4.5 პროცენტიანი წილით, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება -2.6 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 8.7 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა 2020 წელი III კვარტალი




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.12.2020

2020 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (23.7 პროცენტი) და მშენებლობა (20.7 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (18.8 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 8.3 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 28.5 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა 2020 წელი III კვარტალი




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.12.2020

2020 წლის III კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 27.5 პროცენტი, 13.0 პროცენტი და 11.1 პროცენტის წილებით). თუმცა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (9.6 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.1 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის სანარმოებზეც (4.8 პროცენტი):


ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა 2020 წლის III კვარტალი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.12.2020

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.12.2020

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2020 წლის III კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2019 წლის III კვარტალი	2020 წლის III კვარტალი	2020 წლის III კვარტლის ზრდის ტემპი 2019 წლის III კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	29 038.8	29 226.3	100.6
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	103.0	131.8	128.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	209.9	317.4	151.2
დამამუშავებელი მრეწველობა	2 748.0	2 840.2	103.4
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება	730.0	745.9	102.2
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	80.4	71.4	88.8
მშენებლობა	2 546.1	2 295.5	90.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	11 179.7	11 191.9	100.1
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 623.3	1 320.5	81.3
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	605.5	304.0	50.2
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	304.9	96.6	31.7
საკვებით და სასმელებით მომსახურება	300.6	207.4	69.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	499.2	476.3	95.4
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	387.6	328.2	84.7
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	472.2	374.9	79.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	462.3	152.9	33.1
განათლება	79.0	80.2	101.5
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	270.9	272.2	100.5
ხელოვნება, გართობა და დასვენება	7 000.1	8 293.0	118.5
სხვა სახის მომსახურება	41.7	30.0	71.8

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.12.2020

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2020 წლის III კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2019 წლის III კვარტალი	2020 წლის III კვარტალი	2020 წლის III კვარტლის ზრდის თემი 2019 წლის III კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	12 762.8	11 645.0	91.2
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	108.1	134.1	124.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	210.5	317.2	150.7
დამამუშავებელი მრეწველობა	2 748.2	2 757.6	100.3
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	386.6	350.8	90.7
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	89.0	79.4	89.2
მშენებლობა	2 656.8	2 416.1	90.9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	2 155.2	2 187.5	101.5
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 173.8	969.6	82.6
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	603.7	315.4	52.2
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	304.5	108.3	35.6
საკვებით და სასმელებით მომსახურება	299.2	207.0	69.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	462.2	445.2	96.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	388.3	321.8	82.9
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	400.8	326.0	81.3
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	306.4	134.7	44.0
განათლება	87.6	88.6	101.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	469.9	472.3	100.5
ხელოვნება, გართობა და დასვენება	474.3	300.1	63.3
სხვა სახის მომსახურება	41.3	28.7	69.6

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.12.2020

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2020 წლის III კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2019 წლის III კვარტალი	2020 წლის III კვარტალი	2020 წლის III კვარტლის ზრდის ტემპი 2019 წლის III კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	695 994	645 571	92.8
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	11 877	11 641	98.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	8 484	8 523	100.5
დამამუშავებელი მრეწველობა	89 682	83 627	93.2
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	15 153	15 570	102.8
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 276	14 419	101.0
მშენებლობა	71 955	61 965	86.1
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	182 636	177 770	97.3
ტრანსპორტი და დასაწყობება	56 378	52 568	93.2
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	40 550	31 039	76.5
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	16 492	12 268	74.4
საკვებით და სასმელებით მომსახურება	24 058	18 772	78.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	23 722	23 747	100.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	20 083	18 189	90.6
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	24 471	22 550	92.2
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	23 883	19 836	83.1
განათლება	16 733	16 529	98.8
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	71 398	71 502	100.1
ხელოვნება, გართობა და დასვენება	16 213	8 680	53.5
სხვა სახის მომსახურება	8 500	7 414	87.2

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.12.2020


რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 77.3 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 5.0 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 4.8 პროცენტი,
- იმერეთი – 3.7 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.7 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 62.6 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 8.2 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 8.0 პროცენტი,
- იმერეთი – 5.4 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.4 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.12.2020

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 65.7 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 8.6 პროცენტი,
- იმერეთი – 6.9 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.6 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



04.12.2020

შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:
 - საქმიანობის სექტორები K, O, T, U
 - 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)
2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:
 - ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
 - ფაქტიური მისამართის შესაბამისად.
3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:
 1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
 2. შპს „საქართველოს ფოსტა“
 3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
 4. სს „სილქნეტი“
 5. სს „საქართველოს რკინიგზა“
 6. სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“
 7. სს „საქენერჯორემონტი“
 8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.12.2020

რელიზში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შემდეგი კლასიფიკაცია:
ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2)
 სექციების დასახელებები

A	„სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
IV	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: სანარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე ტელ: 2 36 72 10 (200) E-mail: dkupatadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge